



მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს

საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს № 22 ბრძანების მიხედვით

1. მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი „_____“ ივნისი 2010 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: 2010 წელი ივნისი
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა №3, ტელ: 444-444, 444-227;

მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილება.

„საქართველოს ბანკის“ შესახებ

„საქართველოს ბანკი“, საქართველოს წამყვანი ბანკია, რომელიც მის კლიენტებს საქართველოში, უკრაინაში და ბელარუსში, სთავაზობს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო, სამომხმარებლო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვისა და სადაზღვევო მომსახურების ფართო სპექტრს. „საქართველოს ბანკი“ საქართველოში უმსხვილესი ბანკია აქტივების, სესხების, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით; ბანკს უკავია 34.8% საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით (ყველა მონაცემი გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2010 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ბანკს აქვს 137 ფილიალი და ემსახურება ფიზიკური პირის 996,000-მდე და კორპორატიული კლიენტის 157,000-ზე მეტ მიმდინარე ანგარიშს. დამატებით ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ www.bog.ge/ir



2010 წლის 9 ივნისის აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ბატონების ირაკლი ვილაურის და ნიკოლოზ ენუქიძის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ და ბატონების ნილ ჯანიშის, ალასდაირ ბრიჩის, ირკი თალვითიეს და ალან ჰირსტის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ.

სს “საქართველოს ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ბატონ ირკი თალვითიეს და ბატონ ალან ჰირსტს ამოეწურათ საბჭოს წევრობის 4 წლიანი ვადა, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბატონების ირკი თალვითიეს და ალან ჰირსტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ხელახალი არჩევის შესახებ შემდგომი 4 წლის ვადით.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან ბატონების ნიკოლოზ ენუქიძის და ირაკლი ვილაურის გადადგომასთან დაკავშირებით არსებულ ორ ვაკანტურ ადგილზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბ-ნი ნილ ჯანიშისა და ბ-ნი ალასდაირ ბრიჩის 4 წლის ვადით არჩევის შესახებ.

(იხ. პრესრელიზი)

გენერალური დირექტორის მოადგილე

გ. ჭილაძე

საქართველოს ბანკის“ შესახებ

„საქართველოს ბანკი“, საქართველოს წამყვანი ბანკია, რომელიც მის კლიენტებს საქართველოში, უკრაინასა და ბელარუსში, სთავაზობს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო, სამომხმარებლო საბანკო, დავროველი კონების მართვისა და სადაზღვეო მომსახურების ფართო სპექტრს. „საქართველოს ბანკი“ საქართველოში უმსხვილესი ბანკია აქტივების, სესხების, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით; ბანკს უკავია 34.8% საბაზრო წილი მოლანი აქტივების მიხედვით (ყველა მონაცემი გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2010 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ბანკს აქვს 137 ფილიალი და ემსახურება ფიზიკური პირის 996,000-მდე და კორპორატიული კლიენტის 157,000-ზე მეტ მიმდინარე ანგარიშს. დამატებითი ინფორმაციისათვის, გასული იხილოთ www.boci.ge/hr

პრესრელიზი**„საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრები ჰყავს**

სს „საქართველოს ბანკმა“ (LSE: BGEO GSE: GEB), საქართველოს წამყვანმა ბანკმა, დღეს განაცხადა, რომ 9 ივნისს შემდგარი აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრების დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხი დამტკიცდა.

აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ორი ახალი წევრის დამტკიცების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოში ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან გავიდა და, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა ნიკოლოზ ენუქიძემ.

„საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი გახდა ინგლისელი ალ ბრიჩი და კანადელი ნილ ჯანინი, რომელთაც ფინანსურ სექტორში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. სამეთვალყურეო საბჭო განიზრახავს ნილ ჯანინის არჩევას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, სამეთვალყურეო საბჭოს შემდგომ შეხვედრაზე.

“მე ვამაყობ იმით, რასაც მივალწიეთ ჩემს კოლეგებთან ერთად „საქართველოს ბანკში“. ბანკმა წარმატებით გადალახა 2008 და 2009 წლის გამოწვევები და ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი. მე აქვე მივესალმები სამეთვალყურეო საბჭოს ახალ წევრებს და ვუსურვებ მათ წარმატებულ მოღვაწეობას „საქართველოს ბანკში“. მიმაჩნია, რომ ალ ბრიჩისა და ნილ ჯანინის გამოცდილება და პროფესიონალიზმი ბევრს შემატებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას”, განაცხადა **ნიკოლოზ ენუქიძემ**.

“მადლობა მინდა გადავუხადო ნიკას მისი საქმისადმი თავდადებისთვის და ურყევი ერთგულებისთვის აქციონერების, კლიენტებისა და თანამშრომლების მიმართ. სამეთვალყურეო საბჭოში ოთხწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, ნიკამ დიდი წვლილი შეიტანა ბანკის მიღწევებში, კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში. მინდა წარმატებები ვუსურვო მას შემდგომ საქმიანობაში და იმედი გამოვთქვა, რომ ჩვენი გზები კვლავ გადაიკვეთება თუ ნიკა გადაწყვეტს მისი ცხოვრება კვლავ საბანკო სფეროს დაუკავშიროს. მოხარული ვარ, რომ „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს გუნდს უერთდებიან მსოფლიო დონის პროფესიონალები. მათი ცოდნა და ფინანსური სექტორის წამყვან კომპანიებში მუშაობის გამოცდილება, კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება ბანკისთვის”, განაცხადა **ირაკლი გილაურმა**.

“მოუთმენლად ველოდები მუშაობის დაწყებას ჩემს ახალ კოლეგებთან ერთად „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოში. „საქართველოს ბანკს“ ჩემთვის მეტად საინტერესო დროს ვუერთდები. მიმაჩნია, რომ ბანკი კარგად არის პოზიციონირებული

„საქართველოს ბანკის“ შესახებ

„საქართველოს ბანკი“, საქართველოს წამყვანი ბანკია, რომელიც მის კლიენტებს საქართველოში, უკრაინაში და ბელარუსში, სთავაზობს კორპორატიული და ხინვესტიციო საბანკო, სამომხმარებლო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვისა და სადაზღვევო მომსახურების ფართო სპექტრს. „საქართველოს ბანკი“ საქართველოში უმსხვილესი ბანკია აქტივების, სესხების, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით; ბანკს უკავია 34.8% საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით (ყველა მონაცემი გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2010 წლის 30 აპრილის მდგომარეობით). ბანკს აქვს 137 ფილიალი და ემსახურება ფიზიკური პირის 996,000-მდე და კორპორატიული კლიენტის 157,000-ზე მეტ მემდინარე ანგარიშს. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ www.bog.ge/ir

იმისთვის, რომ მისი წარმატება გამოიყენოს შემდგომი ზრდისთვის და ლიდერის პოზიციის კიდევ უფრო გამყარებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. გამოცდილ მმართველ გუნდთან და პროფესიონალ თანამშრომლებთან ერთად, მჯერა, ბევრს მივალწევთ”, განაცხადა ნილ ჯანინმა.

მოკლედ, სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების შესახებ:

ალ ბრინი, TheBrowser.com-ის თავმჯდომარე, აქტიური ინვესტორი და, 2007 წლიდან, "Vostok Nafta"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 2007 წლის ოქტომბრამდე, ალ ბრინს ეკავა მმართველი დირექტორის თანამდებობა "UBS Russia"-ში, სადაც ის ხელმძღვანელობდა კვლევით მიმართულებას, ასევე იყო კომპანიის სტრატეგისტი და ეკონომისტი. 2003 წლის იანვარში, ალ ბრინმა მუშაობა დაიწყო, იმ დროისთვის "Brunswick UBS"-ში, უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე. "Brunswick UBS"-ში მუშაობამდე, 1998-2002 წლებში ალი იყო რუსეთისა და "FSU"-ს ეკონომისტი "Goldman Sachs"-ში.

ნილ ჯანინმა, სულ ცოტახნის წინ დატოვა დირექტორის თანამდებობა "McKinsey & Company"-ის პარიზის ოფისში, სადაც ის 1982 წლიდან მუშაობდა. ამჟამად ნილი კონსულტაციას უწევს კომერციული და არა-კომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მათ გუნდებს და ეწევა პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობას ლიდერობის განვითარების სფეროში საფრანგეთში, ცნობილ ბიზნეს სკოლებში "INSEAD" და "HEC". "McKinsey"-ში 27 წლიანი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, ნილი ხელმძღვანელობდა სამომხმარებლო, ქონების მართვის, და კორპორატიულ საბანკო სფეროებს ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, მისი საქმიანობა მოიცავდა სტრატეგიულ, საორგანიზაციო და საოპერაციო სფეროებს. "McKinsey"-ში გადასვლამდე, ნილ ჯანინი მუშაობდა Chase Manhattan Bank-ის (ამჟამად JP Morgan Chase) ნიუ-იორკისა და პარიზის ოფისებში და Procter & Gamble-ში, ტორონტოში.

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე www.bog.ge/ir